Direct Debit Georgia

სატენდერო დოკუმენტაცია

Direct Debit Georgia

შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“ ს/კ 205130464 აცხადებს ელექტრონულ ტენდერს **ბრენდირებული პოლო მაისურების** შესყიდვაზე.

დაინტერესებულმა პირებმა წინადადება უნდა წარმოადგინონ შესყიდვების ელექტრონული სისტემის საშუალბით: www.tenders.ge

ტენდერი ჩატარდება ვაჭრობის გარეშე.

შესყიდვის ობიექტი:

პროდუქტი	რაოდენობა
ბრენდირებული პოლო მაისური	475

ტექნიკური მახასიათებლები

- **მასალა:** მინიმუმ 95% ბამბა;
- **ქსოვილის სიმკვრივე:** არანაკლებ 180 გ/მ²;
- **ფერი:** ნაცრისფერი;
- **ლოგო:** სტაფილოსფერი;
- პროდუქცია უნდა იყოს მაღალი ხარისხის, მტკიცედ შეკერილი და მდგრადი;
- ნაკერები უნდა იყოს თანაბარი და გამძლე;
- ქსოვილი არ უნდა კარგავდეს ფორმასა და ფერს ექსპლუატაციისა და მრავალჯერადი რეცხვის პროცესში;
- ლოგოს დატანა უნდა განხორციელდეს მაღალი ხარისხის ბეჭდვის მეთოდით (სილქსქრინი ან ანალოგიური ტექნოლოგია);
- ლოგო უნდა იყოს მკაფიო, ფერების მდგრადობით;
- არ უნდა ზიანდებოდეს, იქერცლებოდეს ან კარგავდეს ფერს ექსპლუატაციისა და რეცხვის პროცესში;
- ზომები: XS-დან 4XL-მდე;
- ზომების განაწილება დაკონკრეტდება გამარჯვებული კომპანიის გამოვლენის შემდგომ;
- პროდუქცია უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და დეფექტების გარეშე;
- გადაწყვეტილების მიღებამდე სავალდებულოა სატესტო ნიმუშის წარმოდგენა.

მოწოდების პირობები

- მოწოდება განხორციელდება ერთ ეტაპად - 2026 წლის ივნისში
- მოწოდების მისამართი: ქ. თბილისი, შ.გოგიძის ქ. # 8
- გამარჯვებულმა კომპანიამ უნდა უზრუნველყოს პროდუქციის მოწოდება და მითითებულ მისამართზე

ანაზღაურების პირობები

ანაზღაურება განხორციელდება პროდუქციის მოწოდებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

სატენდერო პირობები

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა სისტემაში უნდა ატვირთოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და (საჭიროების შემთხვევაში) ბეჭდით დამოწმებული შემდეგი დოკუმენტაცია (PDF ფორმატში):

დანართი N1 - კომპანიის რეკვიზიტები

დანართი N2 - ფასების ცხრილი

დანართი N3 - განხორციელებული პროექტებისა და შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი

დამატებითი პირობები:

ფასები უნდა იყოს დაფიქსირებული ლარში, დღგ-სა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს პროდუქციის მიწოდება მითითებულ მისამართზე.

შეფასების კრიტერიუმები

- გამარჯვების კრიტერიუმია: ღირებულება და ხარისხი
- განფასებაში შეცდომის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ერთეულის ფასს
- სატენდერო შემოთავაზებასა და სისტემაში დაფიქსირებულ ფასებს შორის განსხვავების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება სისტემაში დაფიქსირებულ ფასს
- გამარჯვებულად გამოცხადდება პრეტენდენტი, რომელიც წარმოადგენს საუკეთესო ფასს და სრულად დააკმაყოფილებს ტექნიკურ მოთხოვნებს

დამატებითი პირობები

- ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს საბანკო გარანტია ავანსის ოდენობით, ასევე შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული შედარების აქტი (დავალიანების გარეშე)
- პრეტენდენტს უფლება აქვს წარადგინოს დასაბუთებული პრეტენზია 3 (სამი) დღის ვადაში შესაბამისი ინფორმაციის მიღებიდან
- დამკვეთი უფლებამოსილია შეწყვიტოს ან გააუქმოს ტენდერი შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში
- დამკვეთი იტოვებს უფლებას ტენდერი გამოაცხადოს ანულირებულად, თუ მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ერთი პრეტენდენტი
- სხვა პირობები განისაზღვრება მხარეებს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით

საკონტაქტო ინფორმაცია

ტექნიკურ და ტენდერთან დაკავშირებულ საკითხებზე დაუკავშირდით:
ლელა ტყეშელაშვილი
+995 599 27 87 97
ltkeshelashvili@ddg.ge

წინადადებების მიღების ვადა

08/06/2026 15:00 საათი

მადლობა დაინტერესებისთვის.

გისურვებთ წარმატებას.